გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება

საინფორმაციო ცნობარი

რა არის გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯატირება?

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება (GRB) სახელმწიფოს მექანიზმია, რომელიც ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების რესტრუქტურიზაციისთვის გამოიყენება, რათა ბიუჯეტის პროგრამებში ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების განსხვავებული საჭიროებები სამართლიანად იყოს წარმოდგენილი, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, ისე ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველსაყოფად. GRB აგრეთვე წარმოადგენს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მიღწევის სტრატეგიას, რაც კონცენტრირდება იმაზე, თუ როგორ გროვდება და იხარჯება საჯარო რესურსები ჰუმანიტარულ, განვითარების და მშვიდობის სფეროებში.

GRB არ გულისხმობს ქალებისა და კაცებისთვის დამოუკიდებელი ბიუჯეტების შექმნას, ან ბენეფიციარების სქესის ნიშნით გადანაწილებას, არამედ გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებას, სადაც, ბიუჯეტის ასიგნებები თანხვედრაში იქნება ქვეყნის არსებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან. GRB პროგრამული ბიუჯეტირების განუყოფელი ნაწილია, რაც ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ საჯარო მმართველობას მოიცავს. ეს გვეხმარება აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგში, ამასთან ზრდის გამჭვირვალობას და იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ.

შინაარსობრივად, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება საბიუჯეტო პროცესის გენდერულ მეინსტრიმინგს გულისხმობს. აღნიშნული ქალებსა და კაცებზე ბიუჯეტის გავლენის მუდმივ შეფასებასა და ანალიზს მოიცავს, რისი გამყარებაც, გენდერული უთანასწორობისა და შეუსაბამობის შემცირების მიზნით, შესაბამისი პოლიტიკის ანალიზითა და მასში ცვლილებების შეტანით ხორციელდება.

**ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცის ნირასი და
შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.**

რა არის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“?

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“ (EU4Gender Equality Reform Helpdesk), მოთხოვნის შესაბამისად დახმარებას უწევს სახელმწიფო უწყებებს[1] და ევროკავშირის დელეგაციებს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში,[2] პოლიტიკის შემუშავებისა და რეფორმების დანერგვის პროცესებში გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით, ქალებისა და კაცებისთვის ეფექტიანი შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მიზნობრივი აუდიტორია

აღნიშნული ცნობარის გამოყენება შეუძლია ყველას, ვინც ჩართულია სამართლებრივი აქტების, პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში. (სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები, ევროკავშირის დელეგაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა საერთაშორისო პარტნიორები), რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და მის ფარგლებს გარეთ სარგებლის მოტანას ისახავს მიზნად. მისი გამოყენება შეუძლიათ ასევე მკვლევარებს, აკადემიური წრეებისა და მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებიც იკვლევენ ან/და ამზადებენ ანგარიშებს კანონმდებლობის, პოლიტიკისაა და პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

---

[1] ბელარუსში რეფორმების ტექნიკური ჯგუფი მხოლოდ ევროკავშირის დელეგაციას უწევს დახმარებას.
[2] აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) ევროკავშირის, მისი წევრი ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი პარტნიორი ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის, ერთობლივი ინიციატივაა.

ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი

ახორციელებს

NIRAS

ამ სახის ბიუჯეტირება ხელს უწყობს მთავრობის მხრიდან საჯარო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, ბენეფიციარების- ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების საჭიროებებთან შესაბამისობას და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული განვითარების სტრატეგიების შესაბამისად საჯარო პოლიტიკის ყველა მიმართულებაში გენდერულ მეინსტრიმინგს.

მარტივად რომ ითქვას, ევროკავშირი ხელს უწყობს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირებას, როგორც GAP III-ის ნაწილს, ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა:

- ფისკალური დაგეგმვისა და ბიუჯეტირების ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხეშეწყობა.
- კორუფციასთან ბრძოლა და თითოეული ინვესტიციის სწორი ღირებულებით უზრუნველყოფა.
- საბიუჯეტო პროცესში გენდერულად პასუხისმგებლიანი თანამონაწილეობის გაზრდა.
- ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, როგორც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შემადგენელი ნაწილი.
- ქალებს, კაცებს, ბიჭებსა და გოგონებს შორის საბიუჯეტო ფონდების სწორად გადანაწილების უზრუნველყოფა მათი განსხვავებული საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
- გენდერული უთანასწორობის შემცირება, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ეკონომიკური განვითარება.

აღნიშნული ანალიზის ჩატარება საჭიროა ყველა დონეზე, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტის შემთხვევაში. გენდერული ბიუჯეტირების ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კერძო სექტორის ინვესტიციების, ისე პროექტის ბიუჯეტებისთვის.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ხელშეწყობისთვის სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (CSOs) შეუძლიათ ბიუჯეტის დამოუკიდებელი გენდერული ანალიზის უზრუნველყოფა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე წინადადებების წარდგენა, ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე საჯარო მოსმენების ორგანიზება, ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე მეთვალყურეობა (watchdog role) და ადამიანებზე ორიენტირებული, სამართლიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე ბიუჯეტირების ხელშეწყობისთვის საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

მნიშვნელოვანია შეიქმნას სწორად ჩამოყალიბებული მექანიზმები საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ის ცოდნა და ინსტრუმენტები, რაც ფისკალური გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდის შესაძლებლობას იძლევა

რატომ არის გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება მნიშვნელოვანი?

საგარეო ურთიერთობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების შესახებ ევროკავშირის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმის (GAP III) მიღების შემდეგ, რომელიც გენდერულად თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, ევროკომისიამ დადო პირობა, რომ გაუმჯობესებს და განავითარებს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების მიმართულებას, იმ საგარეო პროგრამების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვას. აღნიშნული გეგმა ახალი სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების ანგარიშებში გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების მოდულის დამატებას მოითხოვს.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება არის მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის 5.c.1. 2 ინდიკატორი, რომელიც ზომავს *"იმ ქვეყნების პროპორციულობას, რომლებსაც გააჩნიათ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნით სახელმწიფო ასიგნებების აღრიცხვის და გამოყოფის სისტემები."* აღნიშნული გენდერული თანასწორობისათვის საჭირო პოლიტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს, მათი განხორციელებისათვის რესურსების გამოყოფის გზით აკავშირებს.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება მართვის ძლიერი მექანიზმია, რომელიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის განვითარებასა და საჯარო სერვისების ხარისხის კონკრეტულ მომხმარებლებზე ორიენტირირებულად გაუმჯობესებას. აღნიშნული აგრეთვე ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას, რესურსების ეფექტიანად გამოყენებას და მიზნობრივი ჯგუფების კეთილდღეობის უზრუნველყოფას, რაც საბოლოოდ მდგრად და ინკლუზიურ ზრდას განაპირობებს.

როგორ დავნერგოთ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება?

GRB-ის დანერგვისთვის საჭიროა მთელი რიგი აქტივობების განხორციელება, როგორც საკანონდებლო, ისე საბიუჯეტო სფეროში. GRB-ის დანერგვის პროცესის მთავარი კომპონენტი სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. ამ პროცესისთვის მნიშნელოვანია როგორც საკანონდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება, ასევე გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის და ინდიკატორების სისტემის შექმნა. ვინაიდან საბიუჯეტო გადაწყვეტილებები ყოველთვის პოლიტიკურია, GRB-ის განხორციელებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნების არსებობა.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების დანერგვის **ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორებია:**

- გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად სპეციალურად შემუშავებული გენდერული პოლიტიკისა და ეროვნული ინსტიტუციონალური მექანიზმის არსებობა.
- გენდერული თანასწორობის საკითხების საბიუჯეტო პროცესებში ინტეგრირებისათვის პოლიტიკური ნების არსებობა.
- გენდერულად მგრძნობიარე სტატისტიკის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას, რაც აუცილებელია საბიუჯეტო გადაწყვეტილებების სწორი მიმართულების განსაზღვრისა და გენდერული დისბალანსის გამოსასწორებლად.
- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის უკეთ აღსაქმელად.
- საბიუჯეტო პროცესში ქალებისა და კაცებისა და თანაბარი თანმონაწილეობა.

GRB-ის დანერგვისთვის საჭიროა არსებობდეს საჯარო ფინანსების მართვის ინსტიტუციები, სისტემები და პროცესები, რომლებიც, როგორც გენდერულ საჭიროებებს, ასევე ქალებსა და კაცებზე ფისკალური პოლიტიკისა და პრაქტიკების განსხვავებულ გავლენას გაითვალისწინებს.

მიზანშეწონილია GRB-ის გავრცელება მთლიანი საბიუჯეტო ციკლის პროცესში- ბიუჯეტის დაგეგმვიდან შესრულებამდე, გენდერულად მგრძნობიარე ფისკალური პოლიტიკის შემუშავების, ქალებსა და კაცებზე მისი გავლენის ზედამხედველობის, ასევე, მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის დაგეგმვის ფაზაში, GRB მოიცავს:

- გენდერული თანასწორობის კუთხით საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენის შეფასებას.
- საბიუჯეტო ცირკულარის მომზადებას, რომელიც საბიუჯეტო დანაყოფებს აძლევს მითითებას ბიუჯეტის წარდგენისას გენდერული ზეგავლენის საკითხები გაითვალისწინონ.
- საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მოიცავს სერვისების მიწოდების შესრულების შესახებ სქესის მიხედვით დაჯგუფებულ მონაცემებს.
- საბიუჯეტო წინადადებების საკანონმდებლო განხილვას, რაც გადასახადების და შემოსულობების პოლიტიკისა და პროგრამების გენდერულ გავლენის ანალიზს მოიცავს.

ბიუჯეტის შესრულების ფაზაში, GRB მოიცავს:

- იმ პროგრამებზე გაწეულ ხარჯებს, რომელთა პირდაპირ მიზანს ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა წარმოადგენს (პირდაპირი ასიგნებები).
- გენდერულად მგრძნობიარე საჯარო სერვისებზე გაწეულ ხარჯებს, რომლებიც ქალებისა და კაცების სპეციფიკური ჯგუფების საჭიროებებს ითვალისწინებს (პირდაპირი დაფინანსება).
- ისეთ სექტორულ პროგრამებზე გაწეულ ხარჯებს, რომლებიც გენდერულ მიდგომებს აერთიანებს (არაპირდაპირი დაფინანსება).

მსგავსი ხარჯების **მეთვალყურეობისთვის** საჭიროა მნიშვნელოვანი და ვალიდური მეთოდოლოგიის არსებობა, რათა განისაზღვროს სახელმწიფო ასიგნებებიდან ქალებისა და კაცების მიერ მიღებული სარგებელი და გავლენა.

აღრიცხვა-ანგარიშგების ეტაპზე, საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ მთავრობის ანგარიში უნდა მოიცავდეს გენდერული თანასწორობისა და გენდერულად მგრძნობიარე სახელმწიფო სერვისებისთვის საბიუჯეტო ასიგნებების ანგარიშგებას.

საბიუჯეტო ციკლის ბოლო ეტაპზე – **გარე შემოწმება და აუდიტი** – უნდა მოხდეს საჯარო ფინანსების გადახედვა და სამომავლო აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის რეკომენდაციების გაცემა.[3]

პრაქტიკაში, პოლიტიკურ კონტექსტზე, დაფარვის დონესა და ბიუჯეტირების ეტაპზე დაყრდნობით, GRB-ს ინიციატივები სხვადასხვა საკითხებზე კონცენტრირდება და განსხვავებული ფორმები გააჩნია. მსგავსი ინიციატივები:

- შეიძლება გულისხმობდეს ცალკეული დოკუმენტის მომზადებას, რომელიც ბიუჯეტთან ერთად იქნება წარდგენილი.
- შეიძლება პერმანენტულად იყოს ინტეგრირებული საუწყებო პროცესებსა და პროგრამულ ანალიზში.
- შეიძლება იყოს ფორმალური საბიუჯეტო წინადადებები ან არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების მიერ მომზადებული ცალკეული დოკუმენტები.

კარგი პრაქტიკა

ავსტრია მსოფლიოს იმ სამ ქვეყანას შორისაა, სადაც გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება კონსტიტუციაშია ინტეგრირებული. GRB სახელმწიფოს პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგისა და მკაფიო ვალდებულებების განსასაზღვრად არსებითად მნიშვნელოვან ინსტრუმენტადაა მიჩნეული, რაც მთავრობას გენდერული პოლიტიკის განხორციელების ვალდებულებას აკისრებს.

საბიუჯეტო დოკუმენტებში ფედერალურმა სამინისტროებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თანასწორობის საკითხები, რაც სტრატეგიის ანგარიშებში, ფედერალურ ბიუჯეტსა და დამატებით

[3] PEFA-ს სამდივნო, გენდერულად პასუხისმგებლიანი საჯარო ფინანსების მართვის შეფასების ანგარიში. ვაშინგტონი, 2020 წლის იანვარი. https://www.pefa.org/gender

დოკუმენტაციაში გენდერული თანასწორობის ამოცანების, ღონისძიებებისა და ინდიკატორების ფედერალური ბიუჯეტის აქტთან (Federal Budget Act) შესაბამისად ინტეგრირებას გულისხმობს.

უკრაინა 2003 წლიდან გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების არაერთ ინიციატივას ჩაუდგა სათავეში. უკრაინაში, GRB-ის პროექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, რაც 2014 და 2020 წელს შვედეთის საერთაშორისო განვითარების კოოპერაციის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერითა და NIRAS-ის დახმარებით განხორციელდა. პროექტის მთავარმა ბენეფიციარმა, უკრაინის ფინანსთა სამინისტრომ (MoF), საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე, დანერგა გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა. სამინისტრომ საბიუჯეტო პროცესის წამყვან რეგულაციებში გენდერული თანასწორობის საკითხები შეიტანა. აღნიშნული პროცესი მოიცავს, როგორც ბიუჯეტის კანონის პროექტის და ადგილობრივი ბიუჯეტის პროგნოზების საბიუჯეტო დეკლარაციის მომზადებას და განხილვას, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ უკრაინის კანონის პროექტის შემუშავებისა და მიღების გათვალისწინებით, ბიუჯეტის პროექტების მომზადებას და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას.

აღნიშნული აგრეთვე მოიცავს ბიუჯეტის შესრულებას, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადებასა და განხილვას და ამაზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღებას.

აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტრომ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების განხორციელებაში შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება დაამატა. აღნიშნული ბიუჯეტირების რეფორმა გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების დანერგვის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის 182-ე დადგენილებით მიღებულ 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა საბიუჯეტო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება- კანონპროექტების, ასევე საქართველოს 2019-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. აღნიშნული გენდერული თანასწორობის პრინციპების სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრირების მიზნით განხორციელდა.

მოლდოვის რესპუბლიკაში, გადაწყვეტილების მიმღებთა სენსიბილიზაციისა და საბიუჯეტო პროცესში GRB-ის დანერგვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს, განათლებისა და კვლევის სამინისტროსა და რეგიონალური ხაზინის ორგანიზებით GRB-ის თემაზე ტრენინგთა სერიები ჩატარდა.

ეკონომიკური გაერთიანებისა და განვითარების ორგანიზაციის განვითარების ხელშეწყობის კომისიამ (**OECD DAC**) ჩაატარა ანალიზი გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს იმ ძირითად მახასიათებლებს, რაც აუცილებელია OECD-ის წევრ ქვეყნებში გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების დანერგვისთვის და GRB-ის შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით OECD-ის სხვა ქვეყნებთან საქმიანობის ფარგლებში.

სასარგებლო ბმულები:

- EU4Gender Equality Reform Helpdesk project page- „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფის“ პროექტის გვერდი.
- Gender Equality Library- გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკა
- EU Neighbours East website- ევროკავშირის აღმოსავლეთის მეზობლების ვებ-გვერდი.

ეწვიეთ გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკას

© ევროკავშირი 2023